პროლეტარიელო ყველ[illegible] [illegible]ეთ, [illegible]ეთ!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 25 მარტი, 1947 წ. № 62 (7846). ფასი 20 კაპ.

გუშინ გაიხსნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. ხალხის რჩეულნი შეუდგნენ თავისი მოვალეობის შესრულებას. დეპუტატთა სრული ერთსულოვნება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხების გადაჭრამი—აი რა ახასიათებს სესიის მუშაობას.

სესიის მონაწილეებმა აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშის ტექსტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი დეპუტატის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე მოწვევის პირველი სესია. კრემლიუმის მაგიდასთან — უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. გოგუა (ზემოთ) და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები—ვ. ხარაზია (მარცხნივ) და შ. შარაშიძე. ლიფეში (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. ა. ჯორჯანაძე, ვ. ბუჯიაშვილი, ი. მოსაშვილი, კ. ჩრაქვიანი, ბ. დელა, ვ. ეფანტაშვილი, ბ. სტურუა, ზ. ჩხეფიანინოვი, ა. ციციკურიძე, ბ. ჯაში, ქ. თარხანიძე, ზ. ქეცხოველი, ბ. ალავიძე, ბ. კარანაძე, ა. ჩხეტიანი.

ფოტო ელ. ვინზბურგისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

გუშინ გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. საქართველოს მშრომელთა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო შეუდგა თავის მუშაობას. სესიაზე მოვიდნენ ქართველი ხალხის რჩეულნი, მისი საუკეთესო შვილები, ისინი, ვინც 1947 წლის 9 თებერვლის საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე ერთსულოვნად აირჩიეს თავის დეპუტატებად.

უმაგალითო დარაზმულობით, ლენინ-სტალინის დიდი პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით ჩაატარა ქართველმა ხალხმა უმაღლესი საბჭოს არჩევნები. რესპუბლიკის 2.056.017 ამომრჩეველიდან 2.055.460 კაცმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. კენჭისყრის მონაწილეთა 99,94 პროცენტმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს. ამით ამომრჩევლებმა ხმა მისცეს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკას, ლენინ-სტალინის დიდ საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ჩვენი ჩვენ სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი, საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის ზეიმი.

ქართველმა ხალხმა თავის უმაღლეს საბჭოში პირველ დეპუტატად უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით აირჩია ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, გენიალური ბელადი დიდი სტალინი. ამით მან გამოხატა უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი.

ქართველმა ხალხმა თავის უმაღლეს საბჭოში დიდი სიხარულით აირჩია ამხანაგ სტალინის საუკეთესო თანამებრძოლები ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი და ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, რომლებიც დაუღალავად ზრუნავენ საბჭოთა სამშობლოს გაძლიერებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

ქართველმა ხალხმა თავის უმაღლეს საბჭოში აირჩია სამშობლოს ერთგული შვილები, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ შესწევთ უნარი წარმატებით წაუძღვნენ წინ მასების დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გუშინ პირველად შეიკრიბნენ ხალხის რჩეულნი. სერიოზულ, საქმიან ვითარებაში, დაკისრებული ამოცანებისათვის ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით შეუდგნენ ისინი მუშაობას. როგორც დამტკიცებული დღის წესრიგიდან სჩანს, სესია გადაწყვეტს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს: აირჩევს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, შეაკენძოს მთავრობას—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აირჩევს მუდმივ კომისიებს. მთელი ქართველი ხალხი უდიდესი ყურადღებით დევენებს თვალყურს უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მსვლელობას. დიდი და საპატიო მუშაობის ჩატარება მოუხდებათ ახლად არჩეულ დეპუტატებს, სახელმწიფო ხელისუფლების ახლად შექმნილი ორგანოს, საქართველოს ახალ მთავრობას.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულება თვითეული საბჭოთა მოქალაქის დაამბადა მუშაობას მოითხოვს. მძლავრი შრომითი ენთუზიაზმის ვითარებაში აირჩია ქართველმა ხალხმა უმაღლესი საბჭო. შრომითი ენთუზიაზმის ეს მძლავრი ტალღა კიდევ უფრო გაძლიერდა არჩევნების შემდეგ. საბჭოთა საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ლენინგრადელ მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას და ჩაებნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეოთხე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ადრამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ფაბრიკებში, ქარხნებში, შახტებში, ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე მიმპოვებული ახალი საწარმოო გამარჯვებები შეხვდნენ მშრომელნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას.

როცა საქართველოს მშრომელნი ირჩევდნენ თავიანთ დეპუტატებს, ისინი მტკიცე განაწესს აძლევდნენ მათ — ყველა ეროვნულად ემსახურონ მშრომელ ხალხს, ომით გამოწვეულ სიძნელეთა დაძლევის გზით ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ წაიყვანონ ხალხი. ხალხის რჩეულნი შეუდგნენ ამომრჩევლებისათვის მიცემული სიტყვის განხორციელებას.

ყოველი დეპუტატი სესიაზე მოვიდა ფდიდესი გამოცდილებით, რაც მან შეიძინა შეუპოვარი შრომითა და მოლვაწეობით თავის სამუშაო უბანზე. ყოველი დეპუტატი სესიაზე მოვიდა, რათა გამოხატოს ამომრჩეველთა ფიქრი და გრძნობა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტის დროს. ხალხმა დეპუტატებს მიანდო თავისი წარმომადგენლობა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, და ყოველი დეპუტატი გამსჭვალულია იმის გრძნობით, რომ გაამართლოს ხალხის იმედი და ნდობა.

მრავალი შემოქმედებითი შთანაფიქრი აქვს ჩვენს ხალხს. ხალხმა მიზნად დაისახა უმოკლეს ვადაში აღადგინოს და შემდგომ განავითაროს თავისი სახალხო მეურნეობა და კულტურა. ომის შედეგად ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა მრავალი სიძნელე. მართალია, ეს სიძნელეები წარმავალი ხასიათისაა, მაგრამ მათ დასაძლეველ ცოტა ენერგია როდი საჭირო. საბჭოთა ხალხს არ აშინებს ეს სიძნელეები. მან იცის როგორ უნდა დასძლიოს ეს სიძნელეები და დასძლევს კიდეც მათ. ხალხმა თავის რჩეულთ—უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მისცა განაწესი—სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა შემოქმედებითს ძალებს, წარმართონ ისინი ფიდი ბელადის მიერ ნაჩვენები გზით ჩვენი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისაკენ.

ხალხს ამ განაწესით მოვიდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები პირველ სესიაზე. დიდი დეპუტატთა მოვალეობა. მაგრამ ისინი შესძლებენ მის შესრულებას, რადგან ხალხის ნდობითა და პატივისცემით არიან გარემოსილნი. მათთვის უზარმაზარ აყოფილია მხარდაჭერა თვითეული საბჭოთა ადამიანისა, რომლებმაც მათ ერთსულოვნად მისცეს ხმა არჩევნებში. ამომრჩეველთა და დეპუტატთა ეს გულითადი ურთიერთობა და ნდობა ახალი გამარჯვებების საწინდარია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მუშაობას შეუდგა! ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ, ამხანაგო დეპუტატებო!

მგზნებარე ბოლშევიკური სალამი ქართველი ხალხის რჩეულთ—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს!

დიდება მთელი ქართველი ხალხის პირველ საყოველთაო სახალხო დეპუტატს, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს — შშობლიურ სტალინს!

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც შეიკრიბა თავის პირველ სესიაზე, მთელი ქართველი ხალხის სახელით მხურვალე, გულითადი სალამს გიძღვნით თქვენ, ბრძენ ბელადსა და მხედართმთავარს, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ისტორიული გამარჯვებების ენთუზიასტ ორგანიზატორს.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის მთელი საბჭოთა ხალხის დაძაბული ბრძოლის ვითარებაში შეუდგა მუშაობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების განვლილმა არჩევნებმა, რომლებიც კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ახალი ძალით უჩვენეს მთელ მსოფლიოს სოციალისტური წყობილების სიმტკიცე, საბჭოთა ქვეყნის ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, რომელსაც სსრ კავშირის ხალხები მიაყავს კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ქართველმა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მონაწილეობა თავისი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. მთელი ქართველი ხალხი ბედნიერია იმით, რომ იგი ღირსი გახდა მადლი პატივისა, აეირჩიოთ რა თავის პირველ დეპუტატად თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობარი, მასწავლებელი და ბელადი.

ღირსშესანიშნავი გამარჯვებით, რომელიც კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა მოიპოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, ღრმად დაფიქრებულია ქართველი ხალხის ურყევი ნებასურვილი — საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში მთელი თავისი შემოქმედებითი ძალების ახალი აღმავლობით იბრძოლოს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენი მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავებისათვის, დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

ქართველი ხალხის ეს მადალი პატრიოტული მისწრაფება ხორცს ისხამს კონკრეტული საქმეებით, თან ახლავს მის ახალ მიღწევებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა წარმატებით დაამთავრა ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წელი, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა გეგმები სახალხო მეურნეობის ყველა უმნიშვნელოვანეს დარგში.

ქართველი ხალხი გამსჭვალულია მხურვალე მისწრაფებით შეასრულოს ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის ახალი, დიდი ამოცანები და ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავს.

დაბაბულ შემოქმედებითს შრომაშია ჩაბმული საბჭოთა საქართველო. მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა სახალხო მეურნეობაში.

საბჭოთა საქართველოს მრეწველობამ 1947 წელს უნდა გამოუშვას გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე შარშან.

დაუღალავად შრომობს საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, რომელიც ებრძვის მთელი საბჭოთა კავშირისათვის ძვირფასი, ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის. მთელმა ქართველმა ხალხმა თავის საბრძოლო სამოქმედო პროგრამად მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ბრძნული გადაწყვეტილებანი, რომლებიც შემუშავებულია თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით. ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულია სოფლის მეურნეობის აღმავლობის პირველხარისხოვანი ამოცანა, ქართველი ხალხი მთელ თავის ძალებს აზვარს იმას, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მიმდინარე წელს მოიწოს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების კიდევ უფრო მეტი მოსავალი, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა კიდევ უფრო მეტი რაოდენობით მიიღონ ლმობნი, ფორთხალი, მადალხარისხოვანი ჩაი და საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა სახეობის პროდუქცია.

ახალი შემოქმედებითი აღმავლობით მუშაობს ქართველი საბჭოთა ინტელიგენცია. სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებში, მრავალ უმაღლეს სასწავლებელში, სკოლებში, თეატრებში, კლუბებსა და კულტურული მშენებლობის ყველა სხვა უბანზე გაჩაღებულია ნაყოფიერი მუშაობა, რაც მიმართულია ახალი ამოცანების წარმატებით გადაჭრისაკენ საბჭოთა ხალხის შეგნიერებისა და კულტურის განვითარების დარგში.

თქვენი ყოველდღიური ყურადღება, თქვენი მამობრივი მზრუნველობა აღფრთოვანებს ქართველ ხალხს ახალი შრომითი გმირობისათვის სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ. თქვენი პირადი მითითებანი საფუძვლად დაედო მუშაობას საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. თქვენი დახმარებით, თქვენი მზრუნველობით აღფრთოვანებული ქართველი ხალხი არ იშურებს ძალებს იმისათვის, რომ გადალახოს სიძნელეები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს ახალი სტალინური ხუთწლედი.

ჩვენ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, რომ მთელ ჩვენს სახელმწიფოებრივ მუშაობაში განუხრელად ვიხელმძღვანელებთ თქვენი ბრძნული მითითებებით, რომ მთელ ქართველ ხალხთან ერთად, რომელმაც წარმოგვგზავნა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა ღირსეულად მოვიხადოთ ჩვენი ვალი დიდი სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიდ პარტიას — საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება დიდ ბელადსა და მხედართმთავარს, სსრ კავშირის ხალხთა საყვარელ მამას, მასწავლებელს, შშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 24 მარტის სხდომის შესახებ

24 მარტს, საღამოს 8 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის ხელოვნების სახლში ჩაეხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია.

დეპუტატ **ვ. ა. ლოლაძის** წინადადებით სესიას ხსნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი უხუცესი დეპუტატი გიორგი ივანესა-ძე **ელისაბედაშვილი.**

დეპუტატ ელისაბედაშვილის სიტყვის შემდეგ უმაღლესი საბჭო შეუდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა დეპუტატი ვასილ ბარნაბის-ძე **გოგუა;** თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან დეპუტატი ვერა ნიკოლოზის ასული **ხარაზია** და დეპუტატი შეკრი ქემალის-ძე **შარაშიძე.**

უმაღლესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა შემდეგი რეგლამენტი:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომები სწარმოებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 11 საათამდე.

2. მომხსენებლებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგის საკითხებზე ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ყოველ ჯგუფს, რომელიც ითვლის არანაკლებ 25 კაცისა, შეუძლია წამოაყენოს თავისი თანამომხსენებელი.

4. მომხსენებლებს მოხსენებისათვის ეძლევათ 1 საათი და საბოლოო სიტყვისათვის—20 წუთი. თანამომხსენებლებს თანამოხსენებისათვის—20 წუთი, საბოლოო სიტყვისათვის—10 წუთი.

5. ორატორებს სიტყვისათვის ეძლევათ პირველად 15 წუთი და მეორედ— 5 წუთი.

6. პირადი განცხადებანი და ფაქტიური ცნობები შეაქვთ წერილობითი სახით და ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაუყოვნებლივ ან სხდომის ბოლოს, მათი შინაარსის მიხედვით.

7. რიგგარეშე შეკითხვები შეაქვთ წერილობითი სახით და ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაუყოვნებლივ.

8. წესრიგის შესახებ სიტყვისათვის ეძლევათ 5 წუთი.

9. ხმის მიცემის მოტივებისათვის ეძლევათ 3 წუთი.

ქ. თბილისის, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, გორისა და სიღნაღის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის დაავალეთ დეპუტატმა ი. პ. ყუჯიგოვიანმა შეიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა;

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება;

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევა;

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა;

5. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა;

6. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევა;

7. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ სარედაქციო კომისიის შექმნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რწმუნებების შესაბოჭმებლად არჩეულია სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ნიკანორ ბარათოვის-ძე **გაბუნია** — დეპუტატი ქალაქ თბილისის ერიკეის ოლქისაგან.

სამანდატო კომისიის წევრები:

2. ვერა სერგეიონის ასული **ბუჭუხიშვილი** — დეპუტატი ქიათურის რაიონის კაცების ოლქიდან.

3. ნიკოლოზ ვასილის-ძე **გელაძე** — დეპუტატი აჭარის ასსრ ქალ. ბათუმის სტალინის ოლქიდან.

4. მარიამ კუკულის ასული **არძინბა** — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ ეგუდაუთის ოლქიდან.

5. ვარლამ იაკობის-ძე **ტოგონიძე**— დეპუტატი დუშეთის რაიონის დუშეთის ოლქიდან.

6. ალექსანდრე ხორზინის-ძე **ცხოვრებოვი** — დეპუტატი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის **ქირთვის** ოლქიდან.

7. იოსებ გიორგის-ძე **რთველიაშვილი** — დეპუტატი ქარელის რაიონის რუისის ოლქიდან.

8. გიორგი გიორგის-ძე **ჩუბინიშვილი** — დეპუტატი ქალაქ თბილისის ზრომის ოლქიდან.

9. ვლადიმერ მიხეილის-ძე **მაზნიაშვილი** — დეპუტატი სიღნაღის რაიონის მაღარის ოლქიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიიან დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ხალხთა ბელადს დიდ სტალინს.

ამით დაიხურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

დეპუტატ გ. ი. ელისაბედაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

მიმდინარე წლის 9 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა უმაგალითო პოლიტიკური აქტივობით აირჩიეს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. არჩევნებმა ახალი ძალით ცხადჰყვეს მთელი ქართველი ხალხის მჭიდრო დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. ეს იყო ნამდვილად საყოველთაო სახალხო ზეიმი, საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი დემონსტრაცია, იმის დემონსტრაცია, რომ ქართველი ხალხი განუხრელად მიჰყვება ლენინ-სტალინის ძლევამოსილ დროშას.

არჩევნები გადაიქცა ჩვენი სახელმწიფო ორგანოების მუშაობის საყოველთაო სახალხო შემოწმებად, ბოლშევიკური პარტიის, როგორც ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს მმართველი პარტიის შემოწმებად. არჩევნების შედეგები განაჩენი იყო, რომელიც ხალხმა ბოლშევიკურ პარტიას გამოუტანა. ეს განაჩენი ყველასათვის კარგად არის ცნობილი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა, აქედან კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,94 პროცენტმა. ეს ციფრები ნათლად მოწმობენ იმ დიდ პოლიტიკურ აღმავლობას, რომლის ვითარებაშიც არჩევნები ჩატარდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, დეპუტატობის ყველა კანდიდატი არჩეული აღმოჩნდა.

ვინ დაასახელეს და ვინ აირჩიეს საქართველოს მშრომელებმა თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში?

ხალხის ერთგული შვილები, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი.

თავის პირველ დეპუტატად ქართველმა ხალხმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში უდიდესი სიყვარულითა და უღრმესი მადლობის გრძნობით ერთსულოვნად აირჩია ის, ვინც მთელი მოწინავე კაცობრიობის იმედი და ნუგეშია, ვინც მთელი საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი, მამა და მასწავლებელია—ქართველმა ხალხმა თავის პირველ დეპუტატად აირჩია საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია, რომ თავისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში პირველ დეპუტატად მას კვლავ ჰყავს ბრძენი ბელადი, რომელსაც საბჭოთა ხალხი უმადლის თავის ყველა გამარჯვებას, რომელსაც მთელი მოწინავე კაცობრიობა უმადლის ფაშისტური დამონების საფრთხისაგან ხსნას. სტალინი — თავისუფლება, ხალხთა შორის მშვიდობა და ძლევამოსილი გამარჯვებაა! **(მქუხარე ტაში).**

„ამხანაგ სტალინის სახელი ქართველი ხალხისათვის, ისე როგორც საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხისათვის, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოა, სოციალისტური წყობილების გამარჯვების სიმბოლოა. ამხანაგ სტალინის სახელი დიდი საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლის ძლევამოსილი დროშაა",—სთქვა ამხანაგმა კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანმა თბილისის მშრომელთა საქალაქო მიტინგზე 1947 წლის 8 იანვარს.

თავისი თანხმობით — კენჭი ეყარა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში, ამხანაგმა სტალინმა დიდი პატივი დასდო მთელ ქართველ ხალხს. ამ დიდ პატივს და დიდ ნდობას ქართველი ხალხი სახელოვნად გაამართლებს.

დღეგრძელი იყოს მრავალსა და მრავალ წელს ჩვენი მშობლიური მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

ქართველმა ხალხმა თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მხურვალე სიყვარულის გრძნობით ერთსულოვნად აირჩია დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლები — ამხანაგები ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი **(მქუხარე ტაში)** და ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. **(მქუხარე ტაში).**

დიდია ქართველი ხალხის სიყვარული ამხანაგ მოლოტოვისადმი. ამხანაგი მოლოტოვი ქართველი ხალხის მზრუნველი მეგობარია. იგი მუდმივ დახმარებას უწევს საქართველოს რესპუბლიკას მისი მეურნეობისა და კულტურის ყოველმხრივი აღმავლობის საქმეში. ქართველმა ხალხმა, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, კარგად იცის ის დიდი როლი, რომელსაც ამხანაგი მოლოტოვი ასრულებს ჩვენს პარტიაში, საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. მრავალი წლის მანძილზე ის ბრწყინვალედ მეთაურობს ჩვენი სახელმწიფოს სტალინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.

ყველასათვის ცნობილია ის დიდი ღვაწლი, რაც ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიუძღვის საბჭოთა ხალხის წინაშე. ამხანაგი ბერია გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების საქმეში. ამხანაგ ბერიას სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავება. ამხანაგმა ბერიამ ბრწყინვალედ განახორციელა კავკასიის მისადგომებთან გერმანელთა ურდოების განადგურების სტალინური გეგმა. ამის შედეგად ამიერკავკასიის ხალხები გადარჩნენ გერმანელ დამპყრობთა შემოსევას.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 9 თებერვლის არჩევნებმა, რაც დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშით ჩატარდა, ერთხელ კიდევ მკაფიოდ გვიჩვენეს ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ახლახან არჩეული ხელისუფლების უმაღლესი ორგანო შეუდგა მუშაობას.. საქართველოს სსრ მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მეტად მნიშვნელოვან პერიოდში შეიკრიბა. ეს ის პერიოდია, როცა მთელი საბჭოთა ხალხი დაძაბულად შრომობს ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. როგორც თქვენთვის ცნობილია, ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმები ჩვენმა ქვეყანამ სახელოვნად შეასრულა. ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა.

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველო თავისი ისტორიული განვითარების ახალ ხანაში შევიდა. მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახულია უდიდესი სამუშაოები, რომლებიც კიდევ უფრო ძლიერსა და მიმზიდველს გახდიან ჩვენს რესპუბლიკას. მეოთხე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში. ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღდგენილ იქნას ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღდგენილ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით".

ამ უდიდესი ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის მშრომელების მხარდამხარ თავდადებულად იბრძვის ქართველი ხალხი. „საქართველო უშუალოდ არ დაზარალებულა მტრის შემოსევისაგან, —სთქვა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში,—მაგრამ ომის შედეგები აქაც არის. რაც შეიძლება მალე დავძლიოთ ეს შედეგები და სწრაფი ნაბიჯით წავიდეთ წინ მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავებისაკენ—ასეთია დღეს საქართველოს ბოლშევიკებისა და ქართველი ხალხის მთავარი ამოცანა".

ეჭვი არ არის, ეს დიდი ამოცანა წარმატებით შესრულდება. მიმდინარე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნება საკუთარი მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა. თბილისის ახლოს — რუსთავში შენდება უდიდესი სამრეწველო საწარმო — მეტალურგიული კომბინატი, ხოლო ქუთაისში საავტომობილო ქარხანა. ეს დიდი მშენებლობანი წარმოშობენ მთელ რიგ ახალ სამრეწველო საწარმოებს. ამავე დროს მოითხოვენ მნიშვნელოვნად გადიდდეს ქვანახშირის მოპოვება და ელექტროენერგიის წარმოება. ფართოდ ჩაღდება ტყვარჩელში, ტყიბულსა და ახალციხეში ქვანახშირის ახალი შახტების მშენებლობა. დაწყებულია სამგორის სარწყავი სისტემის აგების სამუშაოები. მთავრდება დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ხრამზე. შენდება მთელი რიგი ახალი ჰიდროელექტროსადგურები. ტარდება ღონისძიებანი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ფართო მოხმარების საქონლის წარმოების სერიოზული გაფართოებისათვის. ვითარდება სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით სუბტროპიკული კულტურები. ამხანაგ სტალინის ყურადღებას საქართველოში სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საკითხისადმი ქართველი ხალხი დაუღალავი შრომით უპასუხებს.

ჩვენი რესპუბლიკისათვის, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილების შესრულებით საქართველოს სოფლის მეურნეობა ახალ წარმატებებს მოიპოვებს.

მეოთხე ხუთწლედში დიდი ღონისძიებანი ტარდება მარცვლეულის მეურნეობის, მესაქონლეობის, მევენახეობისა და სხვა დარგების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. მიღწეულ იქნება ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. განვითარდება სამშენებლო ინდუსტრია. გაიზრდება საბინაო ფონდი. გაძლიერდება სახალხო ჯანმრთელობის დაცვა. გაფართოვდება სახალხო განათლების ქსელი. შემდგომ განვითარდება კულტურა და ხელოვნება. ჩვენ წარმატებით ვიშუშებთ ომით მოყენებულ ჭრილობებს და კიდევ უფრო სწრაფად გავსწევთ წინ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

სამამულო ომში ჩვენმა გამარჯვებამ აამაღლა სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, აამაღლა სახელი იმ ქვეყნისა, რომელიც განუხრელად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. ჩვენ ომი მოვიგეთ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას მომავალში. საჭიროა მტკიცედ გავატაროთ სტალინური საგარეო პოლიტიკა, განვამტკიცოთ ჩვენი გამარჯვება, ფხიზლად დავიცვათ საბჭოთა ხალხის მონაპოვარი, სხვა ქვეყნების დემოკრატიულ ძალებთან ერთად ვიბრძოლოთ ფაშიზმის ნაშთების სრული აღმოფხვრისათვის. მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან რეაქციული ძალები. ისინი ცდილობენ დათესონ ხალხთა შორის უთანხმოება და მტრობა, რომ ამით თავიანთი ვერაგული ზრახვები განახორციელონ. ჩვენი ამოცანაა მტკიცედ ვიდგეთ საყოველთაო მშვიდობის სადარაჯოზე, ამასთან კვლავ დაუღალავად ვიმუშაოთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

ამხანაგო დეპუტატებო!

ხალხთა ერთიან სტალინურ ოჯახში საბჭოთა საქართველომ უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვა. ეს გამარჯვებანი ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ეჭვი არ არის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი ახალ წარმატებებს მოიპოვებს ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა განუხრელად შესრულებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას—ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს კაცობრიობის უდიდეს ადამიანს, ხალხთა ბრძენ ბელადს, მამას და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. დიდხანს გრძელდება ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად).**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას გახსნილად ვაცხადებ **(ტაში).**

ი. ბ. სტალინს მიენიჭა რუმინეთის საპატიო მოქალაქის წოდება

ბუქარესტი, 22 მარტი. (საკდესი). ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შემდეგი კომუნიკე:

„მინისტრთა საბჭოს დღევანდელ სხდომაზე დოქტორმა პეტრუ გროზამ რუმინეთთან ტრანსილვანიის შეერთების მეორე წლისთავთან დაკავშირებით წინადადება წამოაყენა მიენიჭოს გენერალისიმუს სტალინს რუმინეთის საპატიო მოქალაქის წოდება ნიშნად მთელი რუმინელი ხალხის მადლიერებისა ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებისათვის და რუმინეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში მისი დახმარების გამო. მინისტრთა საბჭომ ერთხმად მიიღო წინადადება და დოქტორ პეტრუ გროზას დაავალა აცნობოს საბჭოთა ხალხების სახელოვან ბელადს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება.

პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე აცნობა საბჭოს, რომ ქალაქ კლუჟის მუნიციპალიტეტმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს მიანიჭა კლუჟის საპატიო მოქალაქის წოდება ნიშნად ჩრდილოეთ ტრანსილვანიის მთელი ხალხის მადლიერებისა ტრანსილვანიის საზღვრების აღდგენის საქმეში მხარდაჭერისა და რუმინეთის უფლებებისათვის ბრძოლაში მისი დახმარების გამო.

დოქტორმა პეტრუ გროზამ აგრეთვე განაცხადა, რომ, მთავრობის წინადადებით, მისმა უდიდებულესობამ მეფემ კაროლ I-ის ორდენის დიდი ჯვრის კავალერის ხარისხით დააჯილდოვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. ვიშინსკი განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რაც მან გაუწია რუმინეთს მთელ ტრანსილვანიაზე რუმინეთის უფლებათა დამკვიდრების საქმეში და რუმინეთის ინტერესების დაცვისათვის.

მინისტრთა საბჭომ აღფრთოვანებით მიიღო ცნობა ამ საზეიმო გადაწყვეტილების შესახებ".

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

21-22 მარტს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებთან ერთად.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. გოგუამ.

კრებამ საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

მოხსენებით საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგებისა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი, რომელსაც აქტივი გულთბილად შეხვდა.

— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — რომელიც თებერვალში შესდგა, განიხილა ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა საკითხი. პლენუმის დადგენილება, რომელიც შემუშავებულია ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, წარმოადგენს სოფლად ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვალისწინებული მუშაობის პროგრამას. დადგენილება გამსჭვალულია სტალინური ზრუნვით სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი სწრაფი ზრდისათვის და, მაშასადამე, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის სწრაფი აღმავლობისათვის.

ომმა, რომელიც საბჭოთა ქვეყანას თავს მოახვიეს გერმანელმა დამპყრობლებმა, უდიდესი ზარალი მიაყენა სოციალისტურ სოფლის მეურნეობას.

ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის სოფლის მეურნეობა საბოლოოდ დაინგრეოდა ასეთი შერყევის შედეგად. საკოლმეურნეო წყობილების მძლავრმა ცხოველმყოფელმა ძალამ ყველაზე მკაფიოდ თავი იჩინა იმით, რომ მიუხედავად უდიდესი ზარალისა, საბჭოთა კავშირის სოციალისტურმა მეურნეობამ ღირსეულად გაართვა თავი ომიანობის დროის ამოცანებს.

ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს კოლმეურნე გლეხობა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შეუდგა ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას. განახლებულ იქნა მრავალწლიანი ნარგავების—ჩაის, ციტრუსების, ვენახების, ხეხილის ბაღების გაშენება. მიღწეულია პირველი წარმატებანი, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. მარცვლეულის საერთო მოსავალმა მეურნეობის ყველა დარგში 1946 წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1940 წლისა და 1945 წლის მოსავალს.

საქართველოს კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1946 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ყველა გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს. ეს მოწმობს იმას, რომ განვლილ წელს მოყვანილ იქნა როგორც მარცვლეულის, ისე ტექნიკური კულტურების კარგი მოსავალი.

მაგრამ მიუხედავად 1946 წლის კარგი შედეგებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა. თვითეულ რაიონში გარკვეული რაოდენობით მოიპოვება ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხი კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ამის შედეგად ბევრი კულტურის, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია. ყოველივე ეს მოწმობს, რომ სოფლად მუშაობის ნაკლოვანებანი, რაზედაც მიგვითითებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, სავსებით და მთლიანად შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობასაც.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების საფუძველზე თვითეული პარტიული ორგანიზაცია მოვალეა დასახოს სოფლად მუშაობის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

ახალი ხუთწლიანი გეგმის კანონით ჩვენმა ქვეყანამ სამი წლის—1947, 1948 და 1949 წლების განმავლობაში უნდა აღადგინოს მარცვლეულის წარმოების ომამდელი დონე და მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ამ დონეს ხუთწლედის დამლევისათვის. ამისათვის მარცვლეულის ნათესების განზრახულ გაფართოებასთან ერთად, დასმულია მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების ამოცანა მარცვლეულის დარგში აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და სრულად გატარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს მარცვლეულის წარმოება საქართველოში არა თუ არ შემცირებულა, არამედ მნიშვნელოვნად გადიდდა, მარცვლეულის მეურნეობის დარგში ჩვენ უდიდესი მუშაობა უნდა ჩავატაროთ. უნდა ვაღიაროთ, რომ მთლიანად საქართველოს საკმაო რაოდენობის მარცვლეული არ მოჰყავს. დაბალია მარცვლეულის მოსავლიანობაც: საშუალოდ 1940 წელს ჰექტარზე აღებულ იქნა 8,4 ცენტნერი, 1946 წელს—9,3 ცენტნერი.

ამხ. ჩარკვიანმა დაწვრილებით გაარჩია რესპუბლიკაში მარცვლეულის წარმოების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ პლენუმის მიერ დასახული ამოცანები მთლიანად შეეხება საქართველოსაც, სადაც დიდი ნაკლოვანებებია მარცვლეულის მეურნეობის გაძღოლის საქმეში, რასაც მოწმობს მერყევი და შედარებით დაბალი მოსავლიანობა. საქართველოს ბოლშევიკების ამოცანაა ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის შემდგომ ამაღლებასთან, მათი ნათესი ფართობების გადიდებასთან ერთად მიაღწიონ მარცვლეული მეურნეობის გადამჭრელ აღმავლობას.

ჩვენ უნდა შევასრულოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმით დასახული დავალებანი მარცვლეული კულტურების დარგში. 1950 წელს მარცვლეულის ნათესი ფართობი საქართველოში უნდა შეადგენდეს 746 ათას ჰექტარს, ხოლო საშუალო მოსავლიანობა — 12 ცენტნერ მარცვლეულს ჰექტარზე, ნაცვლად 8,4 ცენტნერისა 1945 წელს. ეს უზრუნველჰყოფს მარცვლეულის 895 ათას ტონაზე მეტ საერთო მოსავალს.

ასეთი შედარებით მაღალი მოსავლიანობის მიღწევას,—აღნიშნავს შემდეგ ამხ. ჩარკვიანი, — დასჭირდება პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების, კოლმეურნეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და მტსების მუშაკთა მთელი ძალების დაძაბვა, რათა მთლიანად ავითვისოთ თესლბრუნვა მარცვლეული რაიონების კოლმეურნეობებში, აღმოვფხვრათ აგროტექნიკური წესებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოების ვადების დარღვევა, უზრუნველვყოთ ნიადაგის მაღალხარისხოვნად დამუშავება.

ამხ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ თუმცა შემოიღო თესლბრუნვა, მაგრამ პრაქტიკულად ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ათვისებული არ არის. ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, რაც აფერხებს თესლბრუნვის ათვისებას, წარმოადგენს მრავალწლიანი ბალახების თესლის უქონლობა. ეს პირდაპირი შედეგია მარცვლეულის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების უყურადღებობისა მეთესლეობის საკითხებისადმი. საჭიროა გადაჭრით დავგმოთ და აღმოვფხვრათ,—ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — სამარცხვინო დამოკიდებულება ბალახების მეთესლეობისადმი. უნდა შევიგნოთ, რომ მრავალწლიანი ბალახების საკუთარი სათესლე ბაზის შექმნა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომ ამაზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდება და მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ნათესების უზრუნველყოფას მარცვლეულის ჯიშიანი მაღალმოსავლიანი თესლით.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ დიდ კონსერვატიზმს ხვდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების ახალი, უფრო მოსავლიანი და დაავადებისადმი უფრო გამძლე ჯიშების შემოღება. არის ოდითვე ცნობილი ჯიშების ხორბალი, რასაც ყველგან სთესენ. ამ ჯიშებს, მართალია, ზოგიერთი დადებითი თვისებები აქვს, მაგრამ მათი მთავარი ნაკლი ის არის, რომ ისინი ნაკლებმოსავლიანია. ეს ადგილობრივი ჯიშები შეიძლება გამოვიყენოთ მშვენიერ მასალად ახალი ჯიშების გამოყვანისათვის, მაგრამ მარცვლეული კულტურების დარგში სასელექციო მუშაობა საქართველოში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ჩვენ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ მუშაობა ხორბლის, სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების უფრო მოსავლიანი და ჩვენს პირობებთან ძველ ჯიშებზე უფრო შეგუებული ახალი ჯიშების მოსაყვანად. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ მეცნიერი მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მოწინავე კოლმეურნენი.

საჭიროა უფრო ფართოდ დავნერგოთ თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის ნათესების რწყვა გვალვიან რაიონებში. ეს მნიშვნელოვნად გაადიდებს მათ მოსავლიანობას. მოწინავე რაიონების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველოში შეიძლება მიღებულ იქნას მარცვლეულის მყარი მოსავალი. მთელი საქმე ის არის, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყოველდღიური ყურადღება დაუთმონ მარცვლეულ კულტურებს, მტკიცედ დაიცვან აგროტექნიკური წესები.

ამხ. ჩარკვიანი დაწვრილებით შეჩერდა ერთწლიანი ტექნიკური კულტურების—თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ბამბის შემდგომი განვითარების ამოცანებზე და მეაბრეშუმეობის განვითარების პერსპექტივებზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — სთქვა შემდეგ ამხ. ჩარკვიანმა,—საქართველოს სუბტროპიკული რაიონების წინაშე დასახა უმნიშვნელოვანესი ამოცანები ჩაის მეურნეობის განვითარების დარგში. პლენუმმა მოითხოვა 1948 წელს გადაჭარბებულ იქნას ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის ომამდელი დონე. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1940 წელს დამზადებულ იქნა 50 ათასზე მეტი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, ხოლო 1946 წელს 23.700 ტონა, გასაგები გახდება, რამდენად სერიოზულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისათვის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანა. ჩვენ ორი წლის განმავლობაში უნდა გავადიდოთ ჩაის ფოთლის კრეფა ერთიორად და უფრო მეტად.

ეს ამოცანა რომ გადავჭრათ, საჭიროა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულოთ ხარისხოვანი ფოთლის კრეფისა და დამზადების გეგმა 1947 წელს. კარგი მუშაობით ამის მიღწევა უეჭველად შეიძლება. ჩვენ გვყავს ბევრი მოწინავე ბრიგადა, რგოლი და ცალკეული კოლმეურნე, რომლებიც ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე ჰკრეფენ 5-დან 15 ტონამდე მწვანე ფოთოლს. საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, რომ უხვი მოსავალი ავიღოთ არა მარტო მცირე სტახანოვურ ნაკვეთებზე, არამედ მთელ პლანტაციებზე. საჭიროა უფრო ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილება, უნდა შეიქმნას ორგანიზაციული წანამძღვარები იმისათვის, რომ ცალკეულ კოლმეურნეებს, რგოლებსა და მთელ ბრიგადებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ უხვი მოსავალი. ბევრ კოლმეურნეობაში პრაქტიკაში დაინერგა ცალკეულ კოლმეურნეთათვის პლანტაციების მწკრივების მიმაგრება რგოლის ფარგლებში. კოლმეურნეები ამუშავებენ ამ მწკრივებს, შეაქვთ სასუქი და, რაც მთავარია, დროზე ჰკრეფენ მოწეულ ფოთოლს. საჭიროა ეს პრაქტიკა ყველგან გამოვიყენოთ. ასეთი წესის დროს კოლმეურნეებს მეტი პასუხისმგებლობა ექნებათ მათზე მიმაგრებული ჩაის პლანტაციების მდგომარეობისათვის, ისინი უფრო მეტად იქნებიან დაინტერესებულნი უხვი მოსავლის მიღებით.

ამხ. ჩარკვიანი თავისი მოხსენების დიდ ნაწილს მიუძღვნის მეციტრუსეობის განვითარების ამოცანებს.

ხუთწლიანი გეგმის კანონი,—ამბობს იგი, — ითვალისწინებს, რომ 1950 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანი ნარგავების ფართობი უნდა ავიყვანოთ 29 ათას ჰექტარამდე, ე. ი. 1947-1950 წლებში 10 ათასი ჰექტარი პლანტაციები გავაშენოთ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ დავალებაში მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „ციტრუსოვანი კულტურების ფართობების გადიდება მოხდეს მხოლოდდამხოლოდ ფორთოხლისა და ლიმონის ნარგავებით".

ჩვენი სუბტროპიკული რაიონების მუშაკებისათვის აშკარა უნდა იყოს ამ ახალი დავალების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ციტრუსოვანი ნარგავების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საქმეში.

ამ ახალი დირექტივის გამო საჭიროა გადაისინჯოს ციტრუსების გაშენების 1947 წლის გეგმა. მიმდინარე გაზაფხულზე გათვალისწინებული იყო 500 ჰექტარი ფორთოხლის და ლიმონის გაშენება. იმის გამო, რომ მანდარინის დარგვა გამორიცხულია, ჩვენ უნდა გავაფართოვოთ ფორთოხლისა და ლიმონის გაშენება. სუბტროპიკული რაიონები მოვალენი არიან გამონახონ სანერგე მასალა და ფართობი იმისათვის, რომ წელს 500 ჰექტარი ფორთოხლისა და ლიმონის ნაცვლად გააშენონ 650-700 ჰექტარი.

ახლავე უნდა ვიზრუნოთ ფორთოხლისა და ლიმონის სანერგე მასალის გამოსაყვანად ისეთი რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება ამ კულტურების გაშენების გეგმის შესასრულებლად 1948, 1949 და 1950 წლებში. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სპეციალისტები და გადავსინჯოთ ციტრუსებისათვის უკვე გამოყოფილი მიწის ნაკვეთები მათი მხოლოდ ფორთოხლისა და ლიმონისათვის ვარგისიანობის თვალსაზრისით. მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გამოვნახოთ სულ მცირე 10 ათასი ჰექტარი ასეთი მიწა.

მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაუსახა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სპეციალისტებს, ეს არის ამოცანა შეიქმნას ფორთოხლისა და ლიმონის უფრო ყინვაგამძლე, საადრეო და მაღალმოსავლიანი ჯიშები. ამხ. ჩარკვიანი აქტივის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დღემდე ამ მიმართულებით სწარმოებდა მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა.

საჭიროა უკეთ მოვაწყოთ სასელექციო მუშაობა ფორთოხლისა და ლიმონის დარგში. ამ საქმეში კუსტარობა არ შეიძლება. ჩვენ უფრო კონკრეტულად უნდა მოვკიდოთ ხელი ჩვენი სა-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

(დასასრული)

მეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაობას, უფრო მტკიცედ ჩავაბათ ფორთოხლისა და ლიმონის შერჩევისა და სელექციის საქმეში არა მარტო მეცნიერები, არამედ კოლმეურნე-მცდელებიც, მებაღეები, აგრონომები.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მოითხოვს უზრუნველვყოთ ციტრუსოვანთა პლანტაციების სათანადო მოვლა და არ დავუშვათ გულგრილი დამოკიდებულება აგროტექნიკის წესებისადმი. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ციტრუსოვანთა პლანტაციების ნორმალური განვითარებისა და მათი მოსავლიანობის გადიდების მიღწევას.

1946-1950 წლებში ახლად უნდა გაშენდეს 11 ათასი ჰექტარი ვენახი, რათა ხუთწლედის დამლევისათვის ვენახების საერთო ფართობი აყვანილ იქნას 70 ათას ჰექტარამდე. იმისათვის, რომ ვაზის გაშენების დასახული გეგმის შესრულება უზრუნველვყოთ სანერგე მასალით 1948 წელს, საჭიროა რაციონალურად გამოვიყენოთ საძირე მასალა, გულდასმით ჩავატაროთ მყნობა და მივაღწიოთ ნამყენთა მაქსიმალურ გახარებას. ამ საქმეში ჩამორჩება თითქმის ყველა რაიონი, მაგრამ ყველაზე მეტად ახალციხის რაიონი, რომელმაც პლანტაჟის გეგმა შეასრულა მხოლოდ 7 პროცენტით, და ასპინძის რაიონი — 13,6 პროცენტით. ამხ. ჩარკვიანი დაწვრილებით შეჩერდა საქართველოში მევენახეობის შემდგომი განვითარების— ვენახების ფართობის გადიდებასთან ერთად ჯიშიანობის გაუმჯობესების, მოსავლიანობის ჰექტარზე 1946 წელს მიღებული 30 ცენტნერის ნაცვლად 40 ცენტნერამდე ამაღლების ამოცანებზე და პარტიის სასოფლო რაიკომების მდივნების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ნიადაგის მომზადება ამ გაზაფხულზე ვენახების გასაშენებლად თითქმის ყველგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

1947 წელი გარდატეხის წელი უნდა გახდეს ხეხილის ბაღების მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ხეხილის ნარგავები, განსაკუთრებით სამრეწველო მებაღეობის რაიონებში, ისეთივე ყურადღებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც ციტრუსები სუბტროპიკულ რაიონებში. ხეხილის ბაღების მოვლა არადამაკმაყოფილებელია. სამრეწველო მეხილეობის ისეთ ძირითად რაიონებში, როგორიცაა გორის, კასპისა და ხაშურის რაიონები, ძალზე გავრცელებულია ხეხილის ავადმყოფობა და მავნებლები. ხეხილის ნარგავების მკურნალობა არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი. ხეხილის ბაღებში თითქმის არ შეაქვთ ორგანული სასუქი, მათი მორწყვა არარეგულარულად ხდება. ამიტომ ჩვენ ვღებულობთ ხილის მეტად დაბალ მოსავალს. ჩვენ ვალდებული ვართ მივაღწიოთ ხეხილის ბაღების გაჯანსაღებასა და მათი მოსავლიანობის გადიდებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი,—დიდი ამოცანები დაგვისახა მეცხოველეობის განვითარების დარგში. საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ომის წლებში შესძლეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის შენარჩუნება 1940 წლის დონეზე. მეცხოველეობის განვითარების გეგმები რესპუბლიკაში ყოველწლიურად სრულდება.

მაგრამ, 1946 წელს რამდენადმე შემცირდა მოზრდილი პირუტყვის სულადობა, თუმცა კოლმეურნეობებმა საერთოდ შეასრულეს სულადობის ზრდის გეგმა. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთმა კოლმეურნეობამ გეგმა შეასრულა მოზარდეულის შესყიდვით და მუშა ხარებისა და ძროხების რაოდენობის შემცირებით. წველადობის გეგმა კოლმეურნეობებში სრულდება არა უმეტეს 50 პროცენტისა. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანა ის არის რომ გააუმჯობესონ პირუტყვის ჯიშიანი შემადგენლობა, ჩაატარონ სერიოზული ღონისძიებანი კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგის სტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, გააუმჯობესონ საკვების დაგროვება, ჩაატარონ სამუშაოები ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების გაუმჯობესებისა და მორწყვისათვის.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობას, რომლებიც როგორც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, გადამწყვეტ როლს ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაში და მოსავლიანობის გადიდებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მტს-ების სატრაქტორო პარკი საქართველოში ძალზე გაცვეთილია, მუშაობის უკეთესი ორგანიზაციით მას შეეძლო გაცილებით მეტი სამუშაოს შესრულება. საქმე ის არის, რომ ჩვენში ძალიან დაბალია გამომუშავება ტრაქტორზეც და კომბაინზეც. 1946 წელს ერთი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება რბილ ხნაზე გადაყვანით შეადგენდა 242 ჰექტარს, მაშინ როცა 1940 წელს იგი შეადგენდა 296,5 ჰექტარს. საქართველოს მტს-ების ერთი ტრაქტორის გამომუშავება საშუალო საკავშიროზე დაბალია 106 ჰექტარით, ანუ 39,5 პროცენტით.

ასეთი დაბალი გამომუშავება ნაწილობრივ აიხსნება ჩვენი ნიადაგის მაღალი ხვედრითი წინააღმდეგობით, მაგრამ მთავარი მიზეზია ტრაქტორების არასაკმაო მოვლა და მუშაობის ცუდი ორგანიზაცია მტს-ებში.

ავიღოთ მაგალითად, ორი მეზობელი მტს-ი,—აგარისა და შინდისისა. 1946 წელს აგარის მტს-მა ერთ ტრაქტორზე გამომუშავა 415,4 ჰექტარი, ე. ი. გადააჭარბა საშუალო საკავშირო ომამდელ გამომუშავებას. ამავე დროს შინდისის მტს-მა ერთ ტრაქტორზე გამოიმუშავა მხოლოდ 161 ჰექტარი. ამხ. ჩარკვიანმა მოიყვანა მტს-ების მუშაობის შეფასებისა და მისი მუშაკების დაჯილდოების სისტემაში არსებული ნაკლოვანებების დამახასიათებელი ფაქტები და დაწვრილებით შეჩერდა მაღალი მოსავლიანობისათვის ტრაქტორისტების, ბრიგადირებისა და მათი თანაშემწეების შრომის დამატებითი ანაზღაურების ახალი წესის მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ მტს-ების მუშაობის შეფასების ახალი წესი ბოლოს უღებს გათანაბრებას და ხელს შეუწყობს მტს-ების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან განუმარტონ მტს-ების მუშაკებს მათი მუშაობის შეფასების ახალი წესი, რაც შემოღებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით. მტს-ების მუშაობას უშუალოდ უნდა მოვკიდოთ ხელი. მთავრობა გამოჰყოფს ახალ ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. საჭიროა, რომ მთელი ეს ტექნიკა გამოყენებულ იქნას სრული დატვირთვით.

საჭიროა აგრეთვე გაძლიერდეს მრავალწლიანი ნარგავების — ჩაის პლანტაციების, ვენახების, ციტრუსოვანთა დამუშავების მექანიზაცია. მტს-ები უნდა განვამტკიცოთ კვალიფიციური კადრებით, უკეთ დავაყენოთ კოლმეურნეთაგან ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მომზადების საქმე.

ამხ. ჩარკვიანი ლაპარაკობს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც დგას წყალთა მეურნეობის წინაშე, რომლის განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობა.

შემდეგ ამხ. ჩარკვიანი გადადის კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საკითხებზე.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მთელი განვითარება,—ამბობს იგი,—დამოკიდებულია კოლმეურნეობათა მდგომარეობასა და მუშაობაზე. ამიტომ კოლმეურნეობები ჩვენი პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენენ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა ახალი ღონისძიებანი კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის დარგში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის ცნობილი დადგენილების შემდეგ საქართველოში დიდი მუშაობა ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა აღმოსაფხვრელად. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობებს დაუბრუნდა ცალკე პირების მიერ მიტაცებული და სხვადასხვა ორგანიზაციებზე უკანონოდ მიცემული 40 ათასი ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა, დაუბრუნდათ 8 ათასზე მეტი სული სხვადასხვა პირუტყვი, 4 მილიონამდე მანეთი ფული, 800 ტონაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაუმჯობესებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების არსებული სისტემა სრულყოფილი არ არის, რომ იგი ხშირად იწვევს გათანაბრებას მოსავლისა და შემოსავლის განაწილებაში.

პლენუმმა დასახა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების საქმის მოსაწესრიგებლად. კერძოდ, პლენუმი წინადადებას იძლევა მნიშვნელოვანი რაოდენობით გაიგზავნოს რაიონებში აგრონომიული უბნების, მტს-ებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებების განსამტკიცებლად აგრონომები უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, სასწავლებლებიდან.

ამ დირექტივას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, სადაც, როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ბევრია, მაგრამ ყველა ისინი დანიშნულებისამებრ არ არიან გამოყენებული. კოლმეურნეობა დიდი და რთული მეურნეობაა. მას რომ უხელმძღვანელო, საჭიროა საქმის ცოდნა. ამიტომ პლენუმმა მიიღო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სხვა მუშაკების მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა მთელი სისტემა.

ამ საქმის ორგანიზაციასთან ერთად, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შეგვიძლია ამოცანად დავისახოთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შემადგენლობაში გავადიდოთ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ადამიანთა რიცხვი.

პლენუმის მითითებათა საფუძველზე, — აღნიშნა შემდეგ ამხ. ჩარკვიანმა, — ჩვენ უნდა შევიმუშაოთ პრაქტიკული ღონისძიებანი ჩვენი საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გასაუმჯობესებლად. უნდა ვთქვა, რომ მევენახეობისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები სერიოზულ სიძნელეებს განიცდიან მათი მუშა ხელითა და მატერიალური მომარაგებით უზრუნველყოფის მხრივ. ამ საბჭოთა მეურნეობების დიდმნიშვნელოვანი როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის უძვირფასესი დარგების განვითარებაში გვავალებს ჩვენ ყოველდღიური ყურადღება მივაქციოთ მათ.

ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის დასახულ ამოცანათა შესრულების უზრუნველსაყოფად პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ გაშალონ პოლიტიკური მუშაობა სოფლად, განუმარტონ მშრომელებს ეს ამოცანები, დარაზმონ ისინი სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის საბრძოლველად. საჭიროა განვამტკიცოთ საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები და ყოველდღიურად დავეხმაროთ მათ მუშაობაში. რაიონული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა თავიანთ მუშაობაში უნდა აღმოფხვრან კოლმეურნეებისადმი საერთო მიდგომისა და არადიფერენცირებული ხელმძღვანელობის ელემენტები. საჭიროა ვიცოდეთ კოლმეურნეობის მდგომარეობა, ჩავწვდეთ თვითეული ცალკე კოლმეურნეობის ცხოვრების ყველა დეტალს, რათა თავის დროზე მივიღოთ ზომები მოწინავე კოლმეურნეობათა ჩამორჩენის თავიდან ასაცილებლად და ჩამორჩენილთა დასაწინაურებლად.

ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმის ახალ ამოცანათა განხორციელებაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა სოციალისტურმა ინდუსტრიამ და, მაშასადამე, ჩვენმა საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციებმა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია ჩვენი ქარხნებისა და მათი მუშაკების — სპეციალისტებისა და მუშების მუშაობაზე.

ომის პერიოდში თბილისის ქარხნებმა აითვისეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადება. ეს სერიოზული დახმარება იყო ჩვენი მტს-ებისათვის, რომლებიც მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას სპეციალური ქარხნებიდან მიეღოთ ტრაქტორების დეტალები. მარტო 1946 წელს თბილისის საწარმოებმა დაამზადეს და „ავტოტრაქტორსბიტს" და „სელხოზსნაბს" გადასცეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების 220 ათასი დეტალი, დაახლოებით 5 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი,—სისტემატურად უნდა იხილავდნენ ამ ქარხნების მუშაობას და უზრუნველჰყოფდნენ მათი საწარმოო გეგმების შესრულებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამოშვებული მანქანებისა და, პირველ რიგში, აპარატურისა და ბაღის წვრილი ინსტრუმენტის ხარისხს, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ ხარისხის მიხედვით წაყენებულ მოთხოვნებს.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული დახმარება უნდა გაუწიოს ქალაქის გარშემო მდებარე რაიონებს — თბილისის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს რაიონებს, რომლებიც წარმოადგენენ ბოსტნეულით, რძისა და სხვა პროდუქტებით თბილისის მოსახლეობის მომარაგების ბაზას.

ეჭვი არ არის,—ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. ჩარკვიანი, — რომ თბილისის პარტიული ორგანიზაცია — საქართველოს კომუნისტური პარტიის მოწინავე რაზმი—შესაფერ როლს შეასრულებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, აღზრდილი დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ, მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით იმუშავებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული დირექტივების განხორციელებისათვის. იგი ბოლშევიკურად განახორციელებს ყველა ღონისძიებას მთელი საბჭოთა კავშირისათვის უმნიშვნელოვანესი საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების დარგში, შეასრულებს საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ყველა მითითებას. **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ხანგრძლივი ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

* * *

აქტივი გადადის ამხ. ჩარკვიანის მოხსენების განხილვაზე. აქტივის მონაწილენი ერთსულოვნად იწონებდნენ პლენუმის გადაწყვეტილებას და ლაპარაკობდნენ იმ უდიდეს აღფრთოვანებაზე, რომლითაც მშრომელნი შეეგებნენ სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი აღმავლობის სტალინურ პროგრამას, ლაპარაკობდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების განხორციელების კონკრეტულ გზებზე.

პირველი სიტყვა ეძლევა კიროვის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანს ამხ. კ. გოგლიძეს. — პარტორგანიზაცია კონტროლს უწევს სოფლის მეურნეობისათვის დაკვეთების შესრულებას,—ამბობს იგი,—კოლექტივის საუკეთესო ძალები დარაზმულია ამ დაკვეთების რაც შეიძლება მალე შესასრულებლად. ამის შედეგად სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები დამზადებულ იქნა ვადამდე. უახლოეს ხანში საშეფო მტს-ებში გაემგზავრება სპეციალისტების ბრიგადა. მომავალში ასეთი ბრიგადები სისტემატურად გაიგზავნება მტს-ებში.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის დირექტორმა ამხ. კოდუამ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ აითვისა ქარხნის კოლექტივმა ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების წარმოება, თუ როგორ იყენებს იგი პრაქტიკულად სტახანოვურ განრიგებს გეგმების ვადამდე შესასრულებლად. მან გაუზიარა აქტივს საშეფო მტს-ებისათვის დახმარების გასაწევად მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. ყუჯიაშვილი ამბობს, რომ შარშან რაიონში იმატა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ. გადიდდა აგრეთვე მარცვლეულის გაცემა შრომადღეზე 148 კოლმეურნეობაში, კიდევ უფრო იმატა კოლმეურნეთა დაინტერესებამ საზოგადოებრივი შრომით. ამის შედეგებით და უფრო გულმოდგინე მომზადებით წლევანდელი საგაზაფხულო თესვა წინანდელზე უფრო ორგანიზებულად და სწრაფად მიმდინარეობს. კოლმეურნეობები თავიანთ ამოცანად ისახავენ 25 ცენტნერი სიმინდი მიიღონ წელს ჰექტარზე. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხეხილის ბაღის მოვლა, მაგრამ მის ნაწილს განახლება ესაჭიროება. უნდა გაძლიერდეს ბრძოლა მავნებლებთან, მეტი შესაწამლი მასალა უნდა იქნას შეტანილი, უნდა აღმოიფხვრას ნარგავთა სიმეჩხრე. ამხ. ყუჯიაშვილი აყენებს ბაღ-ვენახების დამუშავების მექანიზების აუცილებლობის საკითხს.

— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული დადგენილების განხორციელებაში, — ამბობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელინი, — დიდი როლი უნდა შეასრულონ თბილისის სამრეწველო საწარმოების, განსაკუთრებით ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა. მარტო 1946 წელს თბილისის ქარხნებმა დაამზადეს და ჩააბარეს „ავტოტრაქტორსბიტსა" და „სელხოზსნაბს" 220.000 მანეთის ტრაქტორისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეტალები. განსაკუთრებული წარმატებით იმუშავეს ამ მხრივ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ, „გოსმეტპრიბორმა", „დაზგამ".

საჭიროა მხარი დავუჭიროთ და ფართოდ გავავრცელოთ თაოსნობა ორჯონიკიძის სახელობის ქარხნისა, რომელმაც იკისრა მტს-ის შეფობა და საქმიანი დახმარება გაუწია მას. ყოველ საწარმოს შეუძლია გამონახოს ჭარბი მოწყობილობა მტს-ისათვის გადასაცემად. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უფრო ზუსტად უნდა განსაზღვროს ამ ნაწარმის ნომენკლატურა, რომელიც ესაჭიროება საქართველოს სოფლის მეურნეობას, გაუნაწილოს დაკვეთები ქარხნებს და უზრუნველჰყოს ისინი სამუშაო ნახაზებით. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ჩვენი ქარხნების მიერ სოფლის მეურნეობისათვის გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის.

— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება,—ამბობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. გ. ალავიძე,—ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე რთულსა და პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პრაქტიკულ განხორციელებაში პირველ ნაბიჯს წარმოადგენს პლანტაციებში საგაზაფხულო თესვისა და საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით შესრულება. ცალკეულ რაიონებში დაშვებულ იქნა საადრეო კულტურების თესვის ცუდი ხარისხი. ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გავითვალისწინოთ და აღმოვფხვრათ. შემდეგ ამხ. ალავიძე ლაპარაკობს ნათესბალახიანი თესლბრუნვის მნიშვნელობაზე მარცვლეული კულტურების საერთო მოსავლის გადიდებაში. უწინარეს ყოვლისა საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობაში მოვავარდეს ბალახთესვა. ბალახეულის თესლი მიღებულ უნდა იქნას ადგილობრივ.

ამხ. ალავიძე ჩერდება ციტრუსების, ჩაის, ტუნგოს და სხვა სუბტროპიკული კულტურების დარგში ამა წლის დავალებებზე და აღნიშნავს, რომ ნიადაგის დროული და სწორი დამუშავების გეგმის შესრულებაში პირველხარისხოვანი როლი ეკისრება ნიადაგის გულმოდგინე და მზრუნველ მოვლას. ციტრუსოვანი პლანტაციების ფართობის გადიდება უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს სანერგე მეურნეობისადმი. შემდეგ ამხ. ალავიძე ჩერდება სელექციის საკითხებზე. დღემდე ძალიან ცოტა რამაა გაკეთებული ციტრუსოვანთა ყინვაგამძლე ჯიშების გამოსაყვანად.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ სამეურნეო განმტკიცების საკითხებს უძღვნა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მგელაძემ.

— ამჟამად ამბობს იგი,—დგას ამოცანა კიდევ უფრო ამაღლდეს კოლმეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, უზრუნველყოფილ იქნას სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართო გაქანება, მისი მაღალი იდეური დონე.

ომიანობის წლებში აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს ასრულებდნენ, დიდი მუშაობა გასწიეს სუბტროპიკულ ნარგავთა დაცვის უზრუნველსაყოფად. აფხაზეთმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსებისა და თამბაქოს დამზადების 1946 წლის გეგმები. ამჟამად მზადდება ფართობები ჩაისა და ციტრუსების ახალი ნარგავებისათვის. ფართობი, რომელიც განკუთვნილი იყო მანდარინისათვის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესაბამისად, გამოყენებულ იქნება ლიმონისა და ფორთოხლის დასარგავად. სარგავი მასალით უკვე უზრუნველყოფილია ყველა კოლმეურნეობა. ნერგის ნამეტი აფხაზეთს შეუძლია გადასცეს სხვა რაიონებს. 1948 წლისათვის სარგავი მასალით უზრუნველყოფილ იქნება ლიმონისა და ფორთოხლის 700 ჰექტარი ახალი ფართობი.

საქართველოს წყალთა მეურნეობის ამოცანებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით, ილაპარაკა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა ამხ. ი. ლაღიძემ. სარწყავი ქსელის რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვნად გაადიდებს ნათეს ფართობს. მაგრამ ეს მუშაობა მთელ რიგ დაბრკოლებებს აწყდება. მაგალითად, დღემდე არ არსებობს სარწყავი ფართობის ზუსტი აღრიცხვა. ამხ. ლაღიძე აქტივის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არასაკმაოდ ებრძვიან გაზაფხულის წყალდიდობას, რომელიც სერიოზულად აზიანებს ნათესებს. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს წყალთა მეურნეობის სპეციალისტების კადრების მომზადებას. ამხ. ლაღიძე აყენებს წინადადებას — სპეციალური ფაკულტეტი შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, დაევალოს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს გამოუშვას წყლის დარგის ინჟინრები.

საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. მირიანაშვილი აღნიშნავს, რომ შარშან წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა უხვი მოსავალი მოიწიეს, საშუალოდ ჰექტარზე 15 ცენტნერი მარცვლეული აიღეს, და ამბობს, რომ ამჟამად გაჩაღებულია ბრძოლა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. რაიონმა ამოცანა დაისახა—მიიღოს წელს ასფუთიანი მოსავალი, ჩამორჩენილი კოლმეურნეობები მოწინავეთა დონემდე აიყვანოს, უზრუნველჰყოს მტს-ების შეუფერხებელი მუშაობა.

— ჩვენ,—ამბობს ამხ. მირიანაშვილი,—აგრეთვე მკვეთრად უნდა გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების მტკიცე ბაზა უნდა შევქმნათ პირუტყვისათვის, მეტი სილოსი და სხვა წვნიანი საკვები დავამზადოთ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესრულების საქმეში საქართველოს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა როლის შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ამხ. ნ. კეცხოველმა. მან მთავარი ყურადღება დაუთმო სასელექციო მუშაობის საკითხებს. ამხ. კეცხოველმა აღნიშნა სასელექციო სადგურების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და სთქვა, რომ სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სამეცნიერო-საკვლევ სასელექციო სადგურებს. მათი კვლევის შედეგები ძალიან სუსტად ინერგება წარმოებაში. აქ ჯერ კიდევ საგრძნობია გარკვეული კონსერვატიზმი, ახლის შიში. ამხ. კეცხოველი ამბობს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დავიწყებულია ღომის კულტურა.

— შარშან, — ამბობს საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. სიხარულიძე,—რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ტუნგოს კრეფის გეგმა, ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა, დიდი მოსავალი მიიღეს და გაანაწილეს შრომადღეებზე. ამ წარმატებებს საფუძვლად უდევს სერიოზული მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს საკოლმეურნეო კადრების შესანარჩუნებლად და აღსაზრდელად.

ახალი პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც რაიონის წინაშე დაისახა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით, უკვე პრაქტიკულად სწყდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, პლანტაციებში. საგაზაფხულო მუშაობა ჩაისა და ციტრუსების დარგში დაწესებულ ვადებში სრულდება. რაიონის მოწინავე კოლმეურნეობის, სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ინიციატივით გაჩაღდა შეჯიბრება ოქტომბრის 30-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. შეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა არტელი, სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი.

საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანმა ამხ. ალავერდაშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ რაიონის კოლმეურნეობები იბრძვიან წელს ჰექტარზე 12 ცენტნერი მარცვლეულის მიღებისათვის. დიდდება უხვმოსავლიანი სტახანოვური ჰექტარების რაოდენობა, სტახანოველთა გამოცდილებით იარაღდება ყველა კოლმეურნე.

ფართოდ ვრცელდება ინდივიდუალური და წვრილჯგუფური სანარდო მუშაობა, რამაც გაამართლა თავისი დანიშნულება პრაქტიკულად როგორც მევენახეობაში, ისე მემინდვრეობაში. შემდეგ ამხ. ალავერდაშვილი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ხმარობენ რაიონის კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის გასაუმჯობესებლად, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში გათანაბრების აღმოსაფხვრელად, მოწინავეთა წასახალისებლად.

— რაიონის საწარმოთა კოლექტივები,—ამბობს პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ხუჯაძე,—ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ოქტომბრის 30-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის და სხვა ვალდებულებათა შორის იკისრეს ვალდებულებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გასაწევად. ამჟამად უკვე შეიძლება გაწეული მუშაობის პირველ შედეგთა შეჯამება. კიროვის სახელობის ქარხანამ წლის განმავლობაში დაამზადა 1 მილიონი მანეთისაზე მეტი სხვადასხვა ნაწარმი. ქარხნის კოლექტივმა იკისრა საგარეჯოს მტს-ის შეფობა და დაამზადა მისთვის ინსტრუმენტები, საზომი ხელსაწყო და სათადარიგო ნაწილები, მოამზადა მტს-ისათვის გადასაცემად ორი ჩარხი. საშეფო მტს-ებს აქტიურ დახმარებას უწევენ ქარხანა „დაზგის", 26 კომისრის სახელობის ქარხნისა და სხვა კოლექტივები. მაგრამ საწარმოთა კოლექტივების ეს მუშაობა ხშირად აწყდება იმ ორგანიზაციების ბიუროკრატიზმსა და მოუქნელობას, რომელნიც უშუალოდ აგებენ პასუხს მტს-ების მომარაგებისათვის.

ტრიბუნაზეა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. თ. ტოლბუხინი. მას მხურვალე ტაშით ეგებებიან აქტივის კრების მონაწილენი. იგი აქტივს გადასცემს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცების, ოფიცრებისა და გენერლების სალამს და ლაპარაკობს, თუ რა უდიდესი აღფრთოვანებით, მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ოლქის ჯარებში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას. ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები,—ამბობს მარშალი ტოლბუხინი,—სწავლობენ ამ ისტორიულ დადგენილებას. ისინი ითვისებენ სამამულო ომის გამოცდილებას. მთელი მათი საქმიანობა მიმართულია ჩვენი სამშობლოს საბრძოლო ძლიერების შემდგომი გადიდებისაკენ. ჩვენი მეომრები მზად არიან დაიცვან მშვიდობიანი შრომა საბჭოთა ადამიანებისა, რომელნიც იბრძვიან სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის, მძლავრი სასურსათო და სანედლეულო სახელმწიფო რეზერვების შექმნისათვის.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები სოხაძე (სამტრესტის დირექტორი), ურუშაძე (საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი), სალაძე, კვერგელიძე (სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის მთავარი ინჟინერი).

* * *

საბოლოო სიტყვაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა ხაზგასმით აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ბოსტნეულის და კარტოფილის წარმოებისა რესპუბლიკის სასურსათო ბალანსში, დაწვრილებით შეჩერდა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკითხებზე. 5-6 წლის შემდეგ,—აღნიშნა ამხ. ჩარკვიანმა, — ჩვენ სავსებით ელექტროფიცირებული უნდა გვქონდეს ჩვენი სოფლები. შემდეგ ამხ. ჩარკვიანი ამბობს, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის კიდევ უფრო გაძლიერება, მოწინავეთა გამოცდილების კიდევ უფრო ფართო პროპაგანდა და დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში. ამჟამად ამოცანა ის არის, რომ ყოველნაირად გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად, წარვმართოთ კოლმეურნეთა გაზრდილი პოლიტიკური აქტივობა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სავსებით იწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს და აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილებებს იღებს მთელი თბილისის პარტიული ორგანიზაციის მოქმედების საბრძოლო პროგრამად.

აქტივის კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი.**

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში

22 მარტის სხდომა

თავმჯდომარეობდა ე. ბევინი.

მინისტრები განაგრძობდნენ გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხის განხილვას. პირველმა ამ საკითხზე სიტყვა წარმოსთქვა ვ. მ. მოლოტოვმა.

გაგრძელება დისკუსიისა გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

ჩვენ შევუდექით გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხის განხილვას. ამასთან დაკავშირებით მოგვიხდება შევეხოთ გერმანიის სახელმწიფოებრივ წყობასაც. ამრიგად, სხვა საკითხებს გარდა, ჩვენს წინაშე დგას ძირითადი პოლიტიკური პრობლემა, — გერმანიისადმი დამოკიდებულების შესახებ, გერმანელი ხალხისადმი დამოკიდებულების შესახებ.

არ შეიძლება მოვსპოთ გერმანია როგორც სახელმწიფო ან გადავაქციოთ მაღალი სამრეწველო განვითარების გერმანია უინდუსტრიო ჩამორჩენილ ქვეყნად. ასეთი გეზის განხორციელება არა მარტო ევროპის ეკონომიკის და მთელი მსოფლიო მეურნეობის აღდგენის ინტერესებს ეწინააღმდეგება, არამედ გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების მოშლასაც გამოიწვევდა,

ცნობილია, არსებობს იაპონიის მთავრობა, თუმცა უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის მოკავშირეთა სოკლებაცო ორგანოებს. შეიძლებოდა სხვა მაგალითებიც მოგვეყვანა.

ყოველივე ეს იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მოკავშირეებმა გერმანელ ხალხს არ უნდა მოახვიონ თავს ფედერალიზაცია. სხვა საქმეა, თუ თვითონ გერმანელი ხალხი დაუჭერს

[...]

გერმანიაზე გამარჯვების დღეს 1945 წლის 9 მაისს გენერალისიმუსმა სტალინმა მიმართა ხალხს. ამ მიმართვაში ნათქვამი იყო: „საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიის არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას". ასეთია სსრ კავშირის გეზი.

[...] რომ სათანადო პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდეს გერმანიის მთავრობას, რომელსაც უნდა ჰქონდეს აუცილებელი რწმუნებანი. მდგომარეობა ამ შემთხვევაში შეიძლება განვმარტოთ იაპონიის მაგალითით, როგორც

[...] მოკავშირეთა წინაშე.

ზემოთ გამოთქმული შენიშვნების შესაბამისად, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს განსახილველად შემომაქვს შემდეგი წინადადებანი:

I. გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმისა და მოცულობის შესახებ

გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის ამოცანა უნდა წყდებოდეს შემდეგი დებულებების საფუძველზე:

A) გერმანიის პოლიტიკურ წყობილებას დემოკრატიული ხასიათი უნდა ჰქონდეს, და ხელისუფლების ორგანოები დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე უნდა იქმნებოდეს;

B) ლიკვიდირებულ უნდა იქნას სახელმწიფო მმართველობის ჰიტლერული ცენტრალიზაცია, რომელმაც მოსპო ლანდტაგები და მხარეთა ავტონომიური მმართველობა, იმ ანგარიშით, რომ აღდგენილ იქნას მმართველობის დეცენტრალიზაცია, რომელიც არსებობდა ჰიტლერული რეჟიმის დამყარებამდე, ლანდტაგებისა და ორი საერთო გერმანული პალატის აღდგენასთან ერთად;

C) უნდა შეიქმნას გერმანიის ისეთი დროებითი მთავრობა, რომელიც უზრუნველჰყოფს ერთიანობას, ამავე დროს შესძლებს იკისროს პასუხისმგებლობა მოკავშირე სახელმწიფოთა წინაშე გერმანიის ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ნათქვამის მიხედვით, წინადადება შემომაქვს:

1. როგორც პირველი ნაბიჯი გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნისაკენ, დაარსდეს გერმანიის ცენტრალური ადმინისტრაციული დეპარტამენტები ფინანსების, მრეწველობის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, საგარეო ვაჭრობის დარგში, პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. დაევალოს საკონტროლო საბჭოს შეიმუშაოს დროებითი დემოკრატიული კონსტიტუცია, ამასთან ამ საქმეში მიიზიდოს დემოკრატიული პარტიები, თავისუფალი პროფკავშირები და სხვა ანტინაციისტური ორგანიზაციები და მხარეთა წარმომადგენლები.

3. ჩატარდეს არჩევნები გერმანიის დროებითი კონსტიტუციის შესაბამისად, რის შემდეგაც შედგენილ უნდა იქნას გერმანიის დროებითი მთავრობა.

4. პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად დაეკისროს გერმანიის მთავრობას, როგორც მისი ძირითადი ამოცანები, გერმანიის მილიტარიზმისა და ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრა, გერმანიის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის გატარება და გერმანიის ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებათა განხორციელება, აგრეთვე მოკავშირე სახელმწიფოთა წინაშე ვალდებულებების უცილობელი შესრულება.

5. გერმანიის მუდმივი კონსტიტუცია უნდა დაამტკიცოს გერმანელმა ხალხმა.

II. გერმანიის სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ

1. გერმანია აღდგენილ იქნება, როგორც ერთიანი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო — დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ექნება საერთო გერმანული ორპალატიანი პარლამენტი და საერთო გერმანული მთავრობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნება გერმანიის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ მხარეთა კონსტიტუციური უფლებანი.

2. გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი.

3. გერმანიის მთელ ტერიტორიაზე იმოქმედებს საერთო გერმანული კონსტიტუცია, დადგენილი პარლამენტის მიერ, ხოლო მხარეებში — ლანდტაგების მიერ დადგენილი მხარეთა კონსტიტუციები.

4. გერმანიის კონსტიტუცია, ისევე როგორც მხარეთა კონსტიტუციები, აგებულ იქნება დემოკრატიულ საწყისებზე. ამ კონსტიტუციებმა უნდა განამტკიცონ გერმანიის, როგორც დემოკრატიული და მშვიდობიანი სახელმწიფოს, განვითარება.

5. საერთო გერმანული კონსტიტუცია და მხარეთა კონსტიტუციები უზრუნველყოფენ ყველა დემოკრატიული პარტიის, აგრეთვე პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი დემოკრატიული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების თავისუფლად შექმნასა და საქმიანობას.

6. გერმანიის ყველა მოქალაქისათვის განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა საერთო გერმანული კონსტიტუციითა და მხარეთა კონსტიტუციებით უზრუნველყოფილი იქნება დემოკრატიული თავისუფლებანი, მათ შორის სიტყვის, პრესის, რელიგიური კულტის, საჯარო კრებებისა და კავშირების თავისუფლება.

7. პარლამენტი და მხარეთა ლანდტაგები არჩეულ იქნებიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრითა და პროპორციული სისტემით.

8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რაიონული და სათემო საბჭოები) არჩეულ იქნებიან იმავე დემოკრატიულ საწყისებზე, როგორც მხარეთა ლანდტაგები.

ამერიკის საზოგადოებრიობა გმობს ტრუმენის წინადადებებს

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების 16 შტატის 200 დელეგატმა, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზაციას „ამერიკის პროგრესული მოქალაქენი", 21 მარტს ინახულა კონგრესის წევრები ვაშინგტონში და მოუწოდა მათ უარჰყონ ტრუმენის წინადადებანი.

საღამოს დელეგატებმა მოისმინეს დემოკრატ სენატორ პეპერის (ფლორიდის შტატისაგან) არაოფიციალური გამოსვლა.

პეპერმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ეგოისტურ მონოპოლისტურ ელემენტებს პროპაგანდის საშუალებით შეცდომაში შეჰყავთ ამერიკელი ხალხი და აიძულებენ მას მიიღოს რეაქციული იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა. ამერიკელებს ეუბნებიან, კომუნისტები საბერძნეთს ემუქრებიანო, მაგრამ ეს ისეთივე სიცრუეა, როგორც ამის მსგავსი განცხადებანი იმის შესახებ, რომ კომუნისტები მიისწრაფვიან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უზურპირებისაკენ. თუ ამერიკის შე-

[...]

ტონით დაგმობილია ის ფაქტი, რომ ტრუმენმა საბერძნეთის პრობლემა განსახილველად არ წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

„ამ პოლიტიკის შედეგებმა, — ნათქვამია განცხადებაში, — შეიძლება მხოლოდ ძირი გამოუთხაროს გაერთიანებული ერების მთელ სტრუქტურას, ორ მტრულ ბანაკად გაჰყოს მსოფლიო და მოსპოს თვით ის საფუძვლები, რომლებზეც მთელი მსოფლიოს ქვეყნები ცდილობენ ააგონ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა". განცხადებაში აღნიშნულია, რომ ტრუმენი იძულებული იყო უფრო ფრთხილად ელაპარაკნა თურქეთზე, ვინაიდან თურქეთს არ გაუცდია ომისაგან გაპარტახება. „მაშ გულახდილად ვილაპარაკოთ, ვის წინააღმდეგ დავუჭეროთ მხარს თურქეთის ეროვნულ მთლიანობას? საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ? მაგრამ საბჭოთა კავშირი არ ემუქრება თურქეთის ან შუა აღმოსავლეთის რომელიმე სხვა ქვეყნის ეროვნულ მთლიანობას. საბჭოთა კავშირი უა-

[...]

პროგრესული ჯგუფების ორგანიზაციამ „ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალურმა საბჭომ" კონგრესის ყველა წევრს გაუგზავნა განცხადება, რომელშიც მოითხოვს, რომ მათ უარჰყონ ტრუმენის წინადადებანი. განცხადებაში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობის ჩარევამ შექმნა ახლანდელი სიტუაცია საბერძნეთში, და ამავე დროს მკაცრი

[...] კოლეჯის ათასმა სტუდენტმა 21 მარტს გამართა დემონსტრაცია მოთხოვნით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბერძნეთისა და თურქეთის პრობლემები განსახილველად გადასცენ გაერთიანებულ ერებს და შესწყვიტონ ცალმხრივი ჩარევა სხვა ქვეყნების საქმეებში.

აჩესონის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 22 მარტი. (საკდესი). [...] რომელიც წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის წინაშე გამოვიდა საბერძნეთისა და თურქეთისათვის დახმარების გაწევის შესახებ პრეზიდენტ ტრუმენის წინადადების დასასაბუთებლად, განაცხადა, რომ მსოფლიოს რა ადგილასაც უნდა იყოს, ისეთ „მთავრობათა არსებობა, რომლებიც კომუნისტების კონტროლქვეშ იმყოფებიან, ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებისათვის საფრთხეს წარმოადგენსო".

საღამოს გაზეთების ვრცელმა გამოცემებმა გუშინვე გამოაქვეყნეს ეს ცნობა, როგორც სენსაცია. გაზეთმა „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამმა" კოლოსალური სათაურები მოათავსა მთელ პირველ გვერდზე. გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა" გამოაქვეყნა სათაური, რომელსაც თითქმის მთელი პირველი გვერდი უჭირავს. გაზეთმა „სანმა" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სამ სვეტზე გადაჭიმული დიდი სათაური, ხოლო „ნიუ-იორკ ჟორნალ ენდ ამერიკენმა" საგანგებო შესამჩნევ

[...]

შტატებს, აგრეთვე ის, რომ იგი კეთილგანწყობილად არ მოეკიდებოდა კომუნისტურ მთავრობას ჩინეთში.

ბრანდენბურგის პროვინციის ლანდტაგის სხდომა

ბერლინი, 23 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის" ცნობით, 20 მარტს ბრანდენბურგის პროვინციის ლანდტაგის სხდომაზე ყველა პარტიამ მოიწონა ბრანდენბურგის მთავრობის კანონპროექტი სასარგებლო წიაღისეულებისა და მათთან დაკავშირებული დამმუშავებელი საწარმოების ხალხისათვის გადაცემის შესახებ.

პირველი წაკითხვის შემდეგ ლანდტაგის სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვით ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და მისი ორგანიზაციების ყოფილი ნომინალური წევრები, დაბადებულნი 1919 წლის 1 იანვრის შემდეგ, რომლებსაც წოდებები არ ჰქონიათ და პარტიაში პოსტები არ სჭერიათ, გამოცხადებული არიან თანასწორუფლებიან მოქალაქეებად.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

25 მარტს, საღამოს 8 საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაკებისათვის შესდგება ამხ. ქ. ანთაძის ლექცია თემაზე: **„ქალაქ თბილისის ისტორია".**

ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

25 მარტს, საღამოს 7 საათზე, კომკავშირის წრეების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება კომკავშირელის წმიდათაწმიდა მოვალეობაა".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **მირცხულავა.**

26 მარტს, დილის 9 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ი. ბ. სტალინის ნაშრომი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის შენიშვნები)".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **ლ. გეგეშიძე.**

26 მარტს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: **„ვ. ი. ლენინის ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".**

ლექციას წაიკითხავენ ამხ. **შ. ბიწაძე** (ქართულ ენაზე), პროფესორი **აზატიანი** (რუსულ ენაზე).

ლ ე ქ ც ი ა

25 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. **ლებანიძის ლექცია** ქართულ ენაზე, თემა: **„ი. ბ. სტალინის ნაშრომი „ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში".**

კ ი ნ ო ე ბ შ ი

25 მარტს: „კომკავშირელი" — „პეპო"; „სპარტაკი" — „მისი მსახური და"; „თბილისი" — „გლინკა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

25 მარტისათვის

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15 — ლიტერატურული გადაცემა — მარგიანის და ლეჟავას ლექსები.

რადიოსადგურებით 1154 და 49.59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „პოეტი იოსებ დავითაშვილი" 18.20 — სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ კობალევსკის საორკესტრო სუიტა. 19.15 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 20.30 — საბჭოთა კომპოზიტორების რომანსები. 20.45 — მიკროფონთან საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ამხ. ს. ებრალიძე. 21.05 — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლადო გერმესაშვილის შესრულებით. პროგრამაში ბეთჰოვენის რომანსები. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა მიძღვნილი ი. დავითაშვილის შემოქმედებისადმი. 23.00 — სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 8 აპრილს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქუჩა № 16), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ექიმი **ვუკოლ ფარნაოზის-ძე ჟორდანია** თემაზე: **„საქართველოს რესპუბლიკური სისხლის გადასხმის ინსტიტუტსა და მის ფილიალებში დონორთა ორგანიზაცია და დინამიკა სამამულო ომის პერიოდში".**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კ. დ. ერისთავი და დოცენტი მ. გიგოლოვი.

მსურველთ შეუძლიათ ნაშრომს გაეცნონ სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქუჩა № 16).

დირექცია

მშობლები ირაკლი და ვერა ქაცარავები ოჯახით იუწყებიან **ბუბული ქაცარავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/III, 5 ს. ქ. წულუკიძეში, ლიბკნეხტის ქ. № 11.

მეუღლე ელპიტი, შვილები შალვა, ბაკო, ისიდორე, ოლია ოჯახებით იუწყებიან **ნესტორ ამბაკოს-ძე გობრონიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/III ლიხაურში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაცია და ადგილკომი იუწყებიან **ვასილ თომას-ძე ხახანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/III, 7 ს. გამოსვენება 26/III, 5½ ს. კალინინის, 86.

გიორგი სოლომონია, პორფილე მანიაა, კორე უჩანეიშვილი, ი. ფანცულაია ოჯახებით იუწყებიან **შალვა რომანოზის-ძე ქუბაბრიას** გარდაცვალებას.

ქეთო ჩხიკვაძე და შალვა ჭალაგანიძე შვილით მეღვათი იუწყებიან დედის **ელისაბედ ჩხიკვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/III ჩაისუბანში (ჩოხატაური).

ამბაკო და ანასტასია შვილებით: ალექსანდრე, თამარ, რძალი ქეთევან, სიძე სერაპიონ იუწყებიან **ნინო ანანიაშვილი-მინაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/III, 5 ს. მეჩნიკოვის, 9.

მშობლები ერმილე და სონია, მეუღლე ნინო იუწყებიან **გიორგი (არჩილ) ქარხალაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26/III, 7 ს. გამოსვენება 27/III, 6 ს. პლეხანოვის, 171.

და ნათელა, სიძე სიმონ შვილებით იუწყებიან **ანზორ ვასილის-ძე ჯინჭარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/III უჩხოში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00044